ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

26 ივნისი
ხუთშაბათი
2025 წელი
№26(9392)
ფასი 40 თეთრი

სასიხარულო ინფორმაციები

მხარის გამარჯვებულ გუნდებს გზა დაულოცეს!

სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული **ზაალ გელაშვილი**, მოადგილეებთან **სერგი მუშკუდიანთან** და **გიორგი მიქელაძესთან** ერთად, ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2025-ის" აღმოსავლეთ საქართველოს თამაშებში , სამცხე-ჯავახეთიდან გამარჯვებულ გუნდებს შეხვდა და წარმატება უსურვა ფინალურ თამაშებში, რომელიც

23 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით ბათუმში გაიმართება.

აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონები ბორჯომის N3 საჯარო სკოლის გუნდი მძლეოსნობაში, ნინოწმინდის სოფელ ჟდანოვის ვაჟთა და სოფელ სპასოვკის გოგონათა გუნდები მაგიდის ჩოგბურთში ეტაპობრივად მიიღებენ მონაწილეობას და საქართველოს პირველობაზე შეეჯიბრებიან დასავლეთ საქართველოს ჩემპიონებს.

შეხვედრას, ნინოწმინდის მერი **ანივარდ მოსოიანი**, ბორჯომის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და ბორჯომს საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**. საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის კორდინატორი სამცხე-ჯავახეთში **გელა ძამუნაშვილი** ესწრებოდნენ.

ერთობლივი კონცერტი ახალციხეში

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი **ირაკლი ლაზარაშვილი** თოჯინების პროფესიული თეატრის დარბაზში ფოლკლორულ საღამოს დაესწრო.

კონცერტში ახალციხისა და ბორჯომის ფოლკლორული ანსამბლები „მესხეთი" და „ბორჯომი" მონაწილეობდნენ.

ღონისძიება ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების მერიების, ასევე ა(ა)იპ „ახალციხის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების" და ახალციხის თოჯინების პროფესიული თეატრის მხარდაჭერით გაიმართა.

ღონისძიებას ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ილია ზარდიაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **გიორგი მიქელაძე**, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ბიძინა ივანიშვილი

გილოცავთ უდიდეს გამარჯვებას!

ეს ისტორიული შედეგი არის დაუღალავი შრომის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ქვეყნის სიყვარულის შედეგი. მადლობა მინდა გადავუხადო მოჭიდაველთა ეროვნული გუნდის თითოეულ წევრს, რომლებმაც შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღეს და ჩვენი ქვეყნის დროშა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა სხვა დროშაზე მაღლა ააფრიალეს.

ამ გამარჯვებას კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ქალ-ვაჟ ძიუდოისტებს ერთობლივად მსოფლიოს პირველობა აქამდე არ მოუგიათ. კიდევ ერთხელ ვულოცავ ეროვნულ ნაკრებს და სრულიად საქართველოს ისტორიულ გამარჯვებას.

მსოფლიო ბირთვული კატასტროფის წინაშე დგას

,,კაცობრიობა შეიშალა. ამასობაში ევროკავშირი ღრმად არის შეშფოთებული გვარამიას დაპატიმრებით, ვნერვიულობდი, გულის შეტევები არ დამართნოდა ტუსკსა და მაკრონს, მაგრამ მათ წინასაინფარქტო მდგომარეობას ნიტროგლიცერინივით მიუსწრო ლატვიის მამაკაცი პრეზიდენტის გათხოვებამ.

ზეიმობს ლატვია, ხარობს ევროპა!

განსაკუთრებული ,,მიღწევები" გვაქვს იტალიელ მიშისტ ემიგრანტებში, რომლებმაც საშინელი შეშფოთ-აღშფოთი გამოხატეს საქართველოს დელეგაციის ოფიციალური შეხვედრების გამო იტალიაში. წერილი შეთხზეს და გაუგზავნეს მელონის, იტალიის პარლამენტს და ყველას, ვინც მოაფიქრდათ – გვარამიას მრევლი საქართველოს დასჯას ითხოვს.

ანტიკური კომედიაა, როცა მართლმორწმუნე მიშისტ-გვარამისტები ვიღაცის ავტოკრატიულობაზე წერენ საჩივარს.

ახლა სერიოზულად.

ყველა ის, ვინც ქვეყნის დესტაბილიზაციას ხელს უწყობს, უნდა განეიტრალდეს.

უნდა გაუქმდეს სოროსის ფონდი და მასთან აფილირებული ორგანიზაციები.

სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები სამეზობლოსთან უსაფრთხოების ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ.

უნდა გამკაცრდეს კონტროლი საზღვრებზე.

დივერსიული საინფორმაციო საშუალებები უნდა დაიხუროს.

მოკლედ, ახლა არ არის ევროპის დემოკრატიით გაკვირვების დრო. ევროპა კარგა ხანია მარაზმატიკულ პიკშია და თავი გაჭირვებია, - რეგიონული ომი დაიწყო, სრულიად გაუთვალისწინებელი შედეგებით.

მთავარი უსაფრთხოებაა, მასზე შენდება ყველაფერი.

ამიტომ ამ შეუგნებელ ზომბებს დროზე უნდა მივუჩინოთ ადგილი. მათ არსად არ მიეცეთ თავისი სიგიჟეების რეალიზაციის უფლება, არც ქუჩაში და არც საინფორმაციო სივრცეში. ეს მათთვისაც კარგია, გონს მოეგებიან და შეიძლება მერე მადლობლებიც დარჩნენ." - წერს ისტორიკოსი **სოსო მანჯაპარიძე**.

ტრამპმა ირანს 14-ტონიანი ბომბებით შეუტია!

აშშ ისრაელ-ირანის კონფლიქტში ჩაერთო და ირანის სამ ბირთვულ ობიექტზე წერტილოვანი საჰაერო იერიშები მიიტანა.

ირანის ბურთული ობიექტები – ფორდო, ნატანზი და ისპაჰანი მიწაში, ათობით მეტრის სიღრმეზე მდებარეობს, რაც მისი განადგურების მხრივ გამოწვევაა.

სწორედ ამიტომ, ოპერაციისას, აშშ-მ მაღალტექნოლოგიური 14-ტონიანი ბომბები გამოიყენა.

გარე ვაჭრობა ბორჯომელთა დიდი სირცხვილია

რუსთაველის ქუჩაზე, ქალაქის ცენტრში, ყოფილი სასამართლოს შენობის წინ, მოქალაქეთა ფეხით სავალი ტროტუარი ყველაზე ვიწრო ადგილია, სწორედ აქ ვაჭრობს ახალციხელი ქალბატონი. ყველაფერი მიწაზე უწყვია - მტვერში, ტალახში: ყველი, რძე, კვერცხი, ხახვი, კარტოფილი, მწვანილი და ა.შ. ახლა მაგიდებიც დაიდგა. გამვლელები ხშირად ჩერდებიან მოვაჭრესთან, მაგრამ აქოთებული სუნის გამო, სასწრაფოდ ცხვირზე ხელაფარებულები გარბიან. ერთხელ ვკითხე – ქალბატონო, ამ სიშორეს ყოველდღე როგორ დადიხართ, არ იღლები? ახალციხეში ქუჩების მეტი რა არის, იქ დაჯექით და ივაჭრეთ, შენი თავი მაინც არ გეცოდებათ-მეთქი. შემომხედა, გაიღიმა და მიპასუხა, – ახალციხეში, ქუჩაში ვინ დამაჯენს, ვაჭრობა აკრძალულია. პოლიცია ყველაფერს გვართმევს, მეიძლება დიდი თანხითაც დაგვაჯარიმოსო.

გამიკვირდა. თუ ახალციხეში ასე მკაცრად არის დარეგულირებული გარევაჭრობა, ბორჯომმა რა დააშავა? როგორც ამბობენ, ხაშურში, გორში, ქარელსა და სხვაგანაც, გარე ვაჭრობა აკრძალულია. ბორჯომში ყველანაირი ვაჭრობა ნებადართულია. ,,ლიბერთი" ბანკიდან ყოფილ ,,თიბისი" ბანკამდე, ყოველ 50 მეტრში, სამი ადამიანი ვაჭრობს. ხომ გვაქვს მეტნაკლებად კეთილმოწყობილი აგრარული ბაზარი, რატომ არ მიდიან იქ სავაჭროდ? იმიტომ არ მიდიან, რომ აგრარულ ბაზარში ვაჭრობის ნიხრის გადახდას ერიდებიან, ქუჩაში კი არაფერს იხდიან. რაც ზევით დავწერე, რომელიმეს პირადად რომ უთხრა, ისეთ პასუხს მიიღებ, თავგზააბნეული გზის ნაცვლად, შესაძლოა, მტკვარში გადახტე და თავი დაიხრჩო. ამ თემაზე ბევრჯერ დაიწერა მამხილებელი წერილები ჩვენს გაზეთში, ტელევიზიაშიც, პრესაშიც, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

ადამიანი ბრმა უნდა იყოს, ვერ ხედავდეს ჩვენს ქალაქსა და დაბა-სოფლებში განხორციელებულ დიდ და სასიკეთო სახე-ცვლილებას. განვლილი ორი-სამი წლის მანძილზე, ბევრი რამ გაკეთდა და აშენდა, რაც ნამდვილად გვახარებს და მადლობას ვწირავთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. მაგრამ ნათქვამია, **„ერთი კასრი თაფლი, ერთმა წვეთმა კუპრმა გააფუჭაო"**. ასეა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. კარგად გვესმის, თუ რამდენი შრომა ესაჭიროება ქალაქში განხორციელებულ მრავალრიცხოვან ახალი ობიექტების აღმშენებლობა-კეთილმოწყობას, მაგრამ უმრავლესობისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში შესამჩნევი მცირედი ხარვეზიც მეტად მტკივნეულია. ვისაც ბორჯომი უყვარს, მისთვის აუტანელია ქალაქის ცენტრში გარე-ვაჭრობის არსებობა, რომელიც ცილდება ცივილიზაციის ყველა ნორმას. უთქმელობაც დანაშაულია და ამიტომ ხმამაღლა ვამბობთ სათქმელს.

ვიცი, შემომედავებიან, მთელი ევროპა ქუჩაში ვაჭრობს და ჩვენ რა დავაშავეთო. ევროპაში კეთილმოწყობილ ფარდულებში ვაჭრობენ, აქვთ გამდინარე წყალი, ნაგვის ურნა, თქვენ რა გაქვთ მეგობრებო! არაფერი მსგავსი, მტვრისა და მანქანების გამონაბოლქვითაა გაჟღენთილი სიმწრით მოწეული მოსავალი.

ჟურნალისტები მაინც ,,მყეფარე ძაღლების" როლში ვართ. ბევრი აქეთ შემოგვედავა: რას ერჩით, ხალხს უჭირს და როგორც შეუძლია, ისე ირჩენს თავსო. აქეთ დაგვანამუთეს

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

ომით გარჩეული საქმეები XXI საუკუნეში...

სამყარო აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო! ეს საუკუნოვანი ცივილიზაციური ომია... იმ მასშტაბის ომი თუ დაიწყო, რომლის მიზანიც იქნება რუსეთისა და ჩინეთის დამარცხება, ჩათვალეთ, რომ მეოთხე მსოფლიო ომი – ქვებითა და ჯოხებით იქნება.

არანაირი „დემოკრატია" ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება რომ არსებობდეს. ეგეც ებრაელებისგან შემოგდებული ქიმერაა...

ზოგ-ზოგიერთებს ძალიან რომ გაეხარდათ ირანისა და ისრაელის ამბები. ირანი თბილისიდან დიაგონალზე 455 კილომეტრზეა და ერთი ბრუციანი ბომბი ჩვენსკენაც შეცდომით რომ ჩამოაგდონ, ნიფხავ-პერანგის ამარა გამოვცვივდებით გარეთ. ჩვენ არ გაგვაჩნია საომარი ტექნიკა და უფალზე ვართ მინდობილნი. რაკი საჰაერო დერეფანი ვართ, გამორიცხული არაფერია.

გახდა თუ არა უცბად ევრაზიის ცენტრი ჩვენი ცა?! – ირანის საჰაერო სივრცე ჩაკეტილია, უკრაინაში ომია და საჰაერო დერეფანი გაკეთდა საქართველოს თავზე. ირანმა და ისრაელმა ჩაკეტეს საფრენი სივრცე და ჩვენი ცა ყველაზე უსაფრთხოა - ყველა მიმართულებით. აუცილებლად ვიქნებით დერეფანი - ჩრდილოეთით ომი, სამხრეთით ომი... უახლოესი სამეზობლოა და ცეცხლის ალშია გახვეული, როგორც იტყვიან, ყურის ძირშია...

დავფიქრდეთ ჩვენს მდებარეობაზე... ჩრდილოეთიდან გვესაზღვრება რუსეთი, ხოლო ყველა სხვა მხრიდან: თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. არავინ არსად არ წასულა, ყველა მეზობელი ადგილზეა. ამდენი ჩარეცხილი მეზობელი რანაირად გვარგუნა ბედმა?!? – ფაქტობრივად, ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ ისეთი ქვეყნებით, რომლებიც, ან უშუალოდ არიან ჩართულნი ახლო აღმოსავლეთის რთულ პროცესებში, ან მჭიდრო კულტურული და პოლიტიკური კავშირები აქვთ მასთან. მარტო საქართველო კი არა, **კავკასია გადაიქცა ვინრო ორლობედ ევროპასა და აზიას შორის.** ირანს ატომური ელექტრო სადგურებიც აქვს, თუ აფეთქდება, რადიაცია გაჟონავს, კვამლს გაჰყვება და ატმოსფეროში გაიფანტება, რა მანძილზე, ეს რადიაციული დაბინძურების დონეზე იქნება დამოკიდებული...

მართალია, ირანის ტერიტორია 1,648 ათასი კვადრატული კილომეტრია და 80-ჯერ აღემატება ისრაელის ტერიტორიას, თუმცა ისრაელს ხუთი ირანისხელა სახელმწიფო უდგას გვერდით და პლუს – მეტი ფულიც აქვთ და განვითარებული, ძლიერი სამხედრო ბაზაც.

ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში ისრაელი წერტილოვან დარტყმებს აკეთებს და ძალიან წარმატებულად! ეგებ მართლა ეშველოს ირანელ ხალხს და მოიპოვონ თავისუფლება!

ირანელ ხალხს, რომელი მტერი გაუკეთებს ისეთს, რაც ხამეინებმა დამართეს. ირანის დასუსტება ნიშნავს - მრავალრიცხოვან ირანელ მიგრანტს, რომლებიც გადაჯეგავენ ჩვენს ქვეყანას. მისი გაძლიერება კი, კატასტროფას უდრის ჩვენთვის.

ისრაელსა და ირანს შორის არსებული კონფლიქტი არ შეიძლება აღვიქვათ მხოლოდ რელიგიურ ჭრილში, აქ, საქმე ეხება რეგიონში პოლიტიკურ დღის წესრიგს.

ზოგადად, რელიგიური ომის ცნება არის თავად საფრთხე და სიცარიელით სავსე სიტყვა, რომელსაც ხშირად იყენებენ მასების მანიპულაციისთვის. რელიგიური ომი, როგორც ცნება, უმეტეს შემთხვევაში, არის ადამიანური ეგოს, ძალაუფლების წყურვილისა და არასწორი პოლიტიკის პირმშო, რომელიც ღმერთის სახელით ცდილობს საკუთარ ძალადობას ლეგიტიმაცია მიანიჭოს.

რუსეთს არ აწყობს ირანის მარცხი. თავად როცა ჰქონდა გადასაჭრელი გეოპოლიტიკური საკითხები, ჯარით შევარდა ყველგან, ახლა ისრაელს მოუწოდებს, -კონფლიქტი პოლიტიკურად მოაგვარეთო.

ტრამპი საუბრობს იმაზე, თუ როგორ პატივს სცემენ და ეშინიათ მისი. აცხადებს, ჩინეთს დავძირავო. ბოლოს გაირკვა, რომ იშვიათ მინერალებს აშშ ჩინეთს მიაწვდის, რაზეც შეთანხმებულები იყვნენ.

ტრამპი ასევე ამბობს, რომ ღაზაში კონფლიქტს მოაგვარებს. არადა ფაქტია, იქ ომი კი არა, სრული ჯოჯოხეთია. მეტიც, მან აღიარა, რომ აშშ გადასცემს ღაზას სექტორს ისრაელს, მას შემდეგ, რაც ბრძოლები დასრულდება და სექტორის მოსახლეობას სხვაგან გადაასახლებენ.

ომი უკრაინაში ახლა უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე.

ტრამპისა და პუტინის ხელშია მთელი სამყაროს ბირთვული არსენალის 86%... დანარჩენ ქვეყნებში (ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ისრაელი, ჩრდილოეთ კორეა): - 14 %-ია.

მშვიდობის კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, მათ განკარგულებაშია გა-

მოსაყენებლად განთავსებული 4 150 ბირთვული იარაღი. **ყველაზე მეტი ბირთვული იარაღი აქვს რუსეთს, ყველაზე ნაკლები – ჩრდილოეთ კორეას.**

როგორც სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის ანგარიშში წერენ, მსოფლიოში ბირთვული იარაღის ყველაზე დიდი მარაგი მოდის ძირითადად, რუსეთსა და შეერთებულ შტატებზე. ეს ორი ქვეყანა განაგრძობს თავისი სტრატეგიული ბირთვული არსენალის შეკვეცას, მაგრამ მეორეს მხრივ, ორივე გამოყოფს მსხვილ თანხებს ბირთვული მოდერნიზაციის დასაფინანსებლად.

ნუთუ, ამისთვის განვითარდნენ ადამიანები, ომსა და უბედურებას შორის საზღვარი ვერ გაავლონ XXI საუკუნეში?! ომით გარჩეული "საქმეები" უნდა ჩაბარდეს ისტორიას!

ჯერჯერობით კი დამშვიდდით, არანაირი რადიაციული საფრთხე ირანიდან არ არსებობს! იაფფასიანი ყურადღების მიქცევის მსურველების ნიოკი, არიქა, ისრაელის მიერ ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვისას რადიაციამ გაჟონა და საქართველომდე მოაღწევსო – უსაფუძვლოა!

ირანის ბირთვული ამბიციების დასამარებას, მისი ყველა მეზობელი და რეგიონის მთავარი მოთამაშეებიც კი მიესალმებიან: არაბული ქვეყნებით დაწყებული, თვით თურქეთის ჩათვლით...

ერდოღანის ანტიისრაელური წიოკი მხოლოდ პოპულისტურ მუსლიმურ სოლიდარობაზეა გათვლილი, თორემ, სინამდვილეში, მას გულში ნამდვილად უხარია, რომ ისრაელი ირანს ბირთვული იარაღის მოპოვების შანსსაც კი არ აძლევს!

ისრაელს კოლოსალური ტექნოლოგიური უპირატესობა აქვს ირანის სამხედრო შესაძლებლობებზე! თავად განსაჯეთ: ავიადარტყმებში ისრაელის 200 თანამედროვე ამერიკული ავიაგამანადგურებელი მონაწილეობს. ისინი 1500 კმ-ის მანძილს ფარავენ, ბომბავენ ირანის სამხედრო ინფრასტრუქტურას და უკან უვნებლები ბრუნდებიან – ირანმა ერთი თვითმფრინავიც კი ვერ ჩამოაგდო! ირანმა ისრაელისკენ 300 ბალისტიკური რაკეტა გაუშვა და მხოლოდ თითო-ოროლა გაძვრა რკინის გუმბათის უნიკალურ საჰაერო ფარში...

რომელ მესამე მსოფლიო ომზეა ლაპარაკი? მით უმეტეს, ისრაელის უსაფრთხოებას ამერიკის კოლოსალური სამხედრო და დიპლომატიური რესურსი იცავს - დაკნავლებასაც ვერავინ მოასწრებს, თუ ამერიკა ცალი ხელითაც ჩაერთო ამ კონფლიქტში! ამერიკა თუ ჩაერთვება და დაარტყამს ირანს? მერე რომ დაკეტოს ირანმა ორმუზის ყურე? აქ ინფლაციას ვინ უშველის?!..

ამ კონფლიქტში არ შეიძლება დავიწყებული იყოს ირანში მცხოვრები მშვიდობისმოყვარე მოსახლეობა, განსაკუთრებით ქალები, ბავშვები და მოხუცები, რომელთაც თავისუფლება სჭირდებათ და ამას მხარს უჭერს ისრაელის ხელისუფლებაც.

ირანში რეჟიმის ლეგიტიმაცია ისტორიულად დაბალია, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ეზიზღება საკუთარი ხელისუფლება, განსაკუთრებით 2019 და 2002-23-ში გამოსვლების სასტიკად ჩახშობის შემდეგ. მოახერხებენ თუ არა კონსოლიდაციას ისრაელის თავდასხმის შედეგად? ალბათ მაინც ნაწილობრივ. ბევრად აჯობებს რომ ირანელებმა თავად შეცვალონ რეჟიმი, ვიდრე ისრაელი ან ამერიკა ეცდება.

ერთ დეტალსაც ვიტვი – ომის დაწყების დღიდან, ირანი არის რუსეთის მოკავშირე, უკრაინაში ათასობით ადამიანი იმსხვერპლა ირანის მიწოდებულმა იარაღმა და დამხმარე საშუალებებმა... ძალიან ზედაპირულად კი, **ბოროტება არის გავრცობადი, როგორც იდეურ, ისე მატერიალურ დონეზე... რაც ნაკლებია მსოფლიოში ბოროტების კერები, მით მეტი შანსი აქვს სეკულარულ და ჰარმონიულ თანაცხოვრებას...**

ათასობით ქართველი ცხოვრობს ისრაელში, რომლებიც მოხუც მშობლებს, შვილებს, ახლობლებს კვებავენ იქიდან...

ტრამპი არის მოთამაშე, პოლიტიკა არის ტაქტიკური თამაში. ამერიკა არასოდეს გაუშვებს ხელს საქართველოს, იმიტომ კი არა, რომ ოქროს საწმისის სჯერა:

1. მილიარდები აქვს ჩადებული, საკუთარი ინტერესის გამო.

2. ნატოს წევრი ქვეყნის, თურქეთის მეზობლად, შავ ზღვაში არავის უნდა ბუფერული ზონა.

3. ცოტა ხნის წინ უდიდესი ტექნოლოგიური ინვესტიცია ჩაიდო სომხეთში, პერსპექტივაში მილიარდიანი მოგებებით, გეოპოლიტიკურად საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანი – ინტერესის ქვაკუთხედია, მათი მნიშვნელობა დანაწევრებულად, აზრს კარგავს გეოგრაფიის გამო...

რუსეთი კი შვილების მჭამელი ერი რომაა, ეს ყველამ იცის, თუმცა ის, საპირწონედ, იმპერიული ბუნებისაც არის. მაშინ ცხადად გამოვკვეთოთ, კონკრეტულად, როგორ შვილებს ჭამს? – პროგრესულ, მებრძოლ, ჯანმრთელ, ლამაზ, საუკეთესო შვილებს. ისეთებს, რომლებიც ხელს უშლიან ადაპტაციაში. თუ დარვინს დავუჯერებთ, ევოლუცია ხორციელდება სწორედაც რომ ადაპტაციის მეშვეობით, ბუნებრივი გადარჩევით. ერი იშორებს შეუგუებელ, მებრძოლ, ანუ უთანასწორო ბრძოლებში ჩამთრევ ინდივიდებს.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ ვართ მცირერიცხოვანი, ყველა ომში წინასწარ დამარცხებული და ომზე თავიდანვე უარს ვამბობთ. მაგრამ... ახლაც, ყველაზე პოპულარული შიში რა არის? – ჩემი აზრით, ადაპტაციის იმანენტურ უნარშია ჩვენი გადარჩენის საიდუმლო.

საზოგადოებას კი, ჯერჯერობით უსაფუძვლო შიშის მიზეზი რომ ავუხსნათ, უმჯობესი იქნება, ვინაიდან ყველამ არ იცის საჰაერო სივრცითი მომსახურების თაობაზე. უმეტესობა განვითარებადი ქვეყნებიდან მომავალ მიგრანტებს ხედავს და ვრცელდება უსაფუძვლო ჭორები, რისი სიმრავლის გამოც ფაქტობრივად ხალხი ერთმანეთს გადაემტერა.

ვფიქრობ, მართლა უნდა დაწესდეს ინფორმაციის გავრცელებაზე შეზღუდვები, თორემ ამდენი ინტრიგის მოსმენა-წაკითხვა უკვე აუტანელია!!!

დაე, მშვიდობის ერა დამდგარიყოს სრულიად მსოფლიოსთვის!

ჩვენ კი, ვილოცოთ! მეტი არც არაფერი დაგვრჩენია...

„...ომი რომ მორჩება,
ჩვენ სად ვიქნებით?
მთვარე ამოვა,
მზე ჩავა,
ჩვენ სად ვიქნებით?

სამყარო გამოიცვლება,
შეიქმნება სინდის-ნამუსი,
ჩვენ სად ვიქნებით?!..."

მოამზადა ნანა კევლიშვილი

გარე ვაჭრობა ბორჯომელთა დიდი სირცხვილია

(გაგრძელება)

ბორჯომში ყოველი მეორე მცხოვრები ჩვენი ნაცნობიცაა, ამიტომ, გვიჭირს სრული სიმართლის თქმა. ახლა უკვე ბორჯომზე შეყვარებულმა ადამიანებმა აიმაღლეს ხმა, – რატომ დუმხართ, რატომ არ ამხელთ ასეთ უწესრიგობას და აღვირახსნილობას, ხომ ხედავთ, ბორჯომმა დაკარგა ძველებური პეწი და სილამაზე, 30-35 წლის წინ ვინ გაბედავდა ქუჩაში ვაჭრობას, ახლა ზოგიერთი ისე გათავხედდა, ხორცს, რძეს და რძის პროდუქტს ყოველგვარი შემოწმების გარეშე ყიდის, რაც კანონით აკრძალულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბორჯომში სტუმარი და ტურისტი არ გვაკლია, ყველას ხელში ფოტოაპარატი და მობილური ტელეფონი უჭირავს და ჩვენდა სასირცხვილოდ სიცილ-ხარხარში უღებენ სურათებს გარემოვაჭრეებს.

რედაქციაში არაერთი ბორჯომელი გვწერს გარევაჭრობის აღკვეთის თაობაზე, სოციალური ქსელები აჭრელებულია გარე ვაჭრობის სამარცხვინო ფაქტებით. სულ ახლახანს, 9 აპრილის ქუჩიდან მივიღეთ წერილი, ავტორი გულისტკივილით გვწერს: 9 აპრილის ქუჩის ტროტუარზე, მარცხენა მხარეს გავლა შეუძლებელია, მოვაჭრეებს გასაყიდი საქონელი ტროტუარზე აქვთ გამოტანილი, მარჯვენა მხარე მსუბუქი მანქანების მეპატრონეებს აქვთ ათვისებული. დამსვენებელმა სადღა იაროს? არაერთხელ გავაჟღერეთ წინადადება – პარკინგის მოწყობის თაობაზე, მაგრამ ვერც ეს პრობლემა გადაწყდა. ქალაქის ვიწრო ქუჩებში მსუბუქი მანქანები ვეღარ ეტევა. ქალაქის ცენტრი გადავსებულია ავტომანქანებით. იქნებ პარკინგის მოწყობამ უშველოს ამ პრობლემას. ვიცით, ამ პრობლემების გამო შეწუხებულია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც, ხშირად გამოუვალ მდგომარეობაშიც არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ადვილი არაა ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარება. თუ აქედანვე არ მოგვარდა, მომავალში კიდევ უფრო გართულდება საქმე. დროა, მოსახლეობა, მოვაჭრეები თუ ავტომობილების მფლობელნი მიეჩვიონ კანონს, ხოლო კანონის უგულებელყოფა და იგნორირება არავის ეპატიება. დროა, ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს წესრიგი გარე ვაჭრობისა და მომრავლებული ავტომანქანების პარკინგის საქმეში.

ვალერიან ლომიძე.

პრობლემა

მასობრივი დეგრადაცია

ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფაქტ ათიათასობით ადამიანის უმეცრ ბის დონეა, მიუხედავად ცოდნ მიღებაზე წვდომის ძალიან დიდ დიაპაზონისა. ადამიანი, როგორ ბიოლოგიური სახეობის არსებობ მრავალ ათასწლეულებს ითვლის. ა დროში, ათასობით თაობის, ასობი აყვავებული და დაცემული ცივილი ზაციების შემდეგ, შესაძლებელი იყ ყველაფრის შექმნა - ნახევარი (თ მთლიანი არა) გალაქტიკის შესწა ვლა, კოსმიურ სიღრმეებში გაფრენ და ჩვენ კი გამოვიგონეთ მხოლოდ გასართობი მოუები, ე.წ. სილამაზ ინდუსტრია, სოციალური ქსელებ თავი ჩავრგეთ მოციმციმე ეკრანებ ში და ტვინი გამოვილაყეთ.

XIX საუკუნე პროგრესისა დ გამოგონებების საუკუნე იყო, ელ ქტრული XX - ტექნოლოგიების და კოსმოსში გაფრენის საუკუ ნე, მაგრამ ეპოქალური რა შექმნა ადამიანმა ბოლო 30-40 წლის განმავლობაში? მხოლოდ მობილური ტელეფონი ძალიან დიდი ეკრანით და მდარე შინაარსის გასართობი მოუები. ბედნიერი მაყურებელი, ანუ ადამიანთა ის მოდგმა, ადრე შედევრს რომ ქმნიდა, ახლა ტაშს უკრავს ამ გამოგონებას და უფრო მეტს მოითხოვს. მათი მოთხოვნები ყოველთვის კმაყოფილდება, მაგრამ ადამიანი მაინც ვერ ძღება, ანუ, ამ ყველაფრის გამომგონებლები კმაყოფილი მომხმარებლების სურვილებს ერგებიან, იმის მაგივრად, რომ განვითარება და პერსპექტივები ეძიონ, მათთვის მთავარი, დაუყოვნებელი, მომენტალური კომერციული სარგებელია.

ეს სტრატეგია საუცხოოდ მუშაობს. სამყარო სწრაფად შეიცვალა, თუკი ადრე ავტორები ნამდვილად ცდილობდნენ, აკონტროლებდნენ დასრულებული მასალის ხარისხს და შინაარსის დონეს, თანამედროვე სამყაროში ყველაფერს პიარი სიყალბეს, კულტურულ გეტოში აღმოჩნდა. ცალკე მდგომი და გარიყული გადარჩენას კლასიკოსთა კითხვაში ეძებს, მაგრამ უფრო და უფრო მარგინალიზებული ხდება – შორდება ახალ ტენდენციებს, კარგავს კავშირს, ფეხს ველარ უწყობს დროის სულისკვეთებას და ეს პროცესი შეუქცევადი ჩანს.

ამ აბსოლუტურად გააზრებულ, ვერაგ და საზიზღარ პროცესს შინაარსის ყველასათვის გასაგებ დონემდე გამარტივება ეწოდება. სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი საქციელი იშიფრება, როგორც განზრახ ჩადენილი დანაშაული. ადრე ადამიანები ისწრაფვოდნენ გამოეგონათ საინტერესო, ღირებული და საზოგადოებისათვის სასარგებლო რამ, მაგრამ ახლა, ყველაფერი მხოლოდ წამიერი, მოკლევადიან აჟიოტაჟს მორგებულია.

წარსულში ავტორები რთულ ამოცანებს ისახავდნენ მიზნად, რომ მომხმარებელი თავის დონემდე აემაღლებინათ, შესაბამისად, მათთვის თვითგანვითარება და პროგრესი მთავარი მიზანი იყო. ახლა კი, მოდურია მასობრივი დეგრადაცია და ეს სულ არ ითვლება სამარცხვინოდ. ამ მექანიზმს მეცნიერულად კოგნიტური სიმსუბუქე, სიმარტივე ეწოდება - არ არის საჭირო დავძაბოთ ტვინი, ჩავწვდეთ აზრს, ამოვხსნათ რთული ამოცანები და გავაანალიზოთ ნანახი თუ წაკითხული - ჩვენ უბრალოდ ვერთობით, ჩვენამდე მოსულ მდარე მასალას ზედაპირულად აღვიქვამთ. ტვინის დაძაბვა უკვე ტკივილს, უსიამოვნო შეგრძნებებს, დისკომფორტს იწვევს. კაცობრიობას აღარ ჭირდება ზედმეტი ფიქრი, ის დიდი ხანია არაფერი ფასეულისკენ აღარ მიისწრაფვის, და თუკი ოდნავ გამოფხიზლდა, მისი ჩახშობისთვის უხვად არსებობს შოუ-პროგრამები და სოციალური ქსელები.

რუსუდან სხირტლაძე

ნიჭიერი თაობა

ეს არ იყო უბრალოდ კონცერტი, ეს იყო შინაგანი დიალოგი

5 ივნისს, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის, კლავიშიანი საკრავების ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტის, ნინი ჯაპანიძის სოლო კონცერტს უმასპინძლა. პირადად მე, მქონდა პატივი, ნინისთვის წლების წინაც მომესმინა, თუმცა ამჟამად, სულ სხვა ემოცია იგრძნობოდა მის თითოეულ ბგერაში. მაყურებლის წინაშე საოცრად გამოცდილი, საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული პიანისტი წარსდგა. განსაკუთრებული ღელვა ეტყობოდა ნინის დედას, ჩემს კოლეგასა და მეგობარს ნანა კევლიძვილს, რასაც ვერ ვიტყოდი თვითონ ნინიზე – გაწონასწორებული, საკუთარ თავში უზომოდ დარწმუნებული ხელოვანი იდგა ჩვენს წინაშე. ნინისთან ერთად კონცერტზე ახალბედა პიანისტი, ერეკლე გუნდიშვილიც მონაწილეობდა. კონცერტის წამყვანი კი, ნიჭიერი პიანისტების პირველი პედაგოგი, საკუთარი მოსწავლეებით უზომოდ ამაყი, ქალბატონი მარინე რატიანი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ნინი მომავალი სასწავლო წლიდან სრული დაფინანსებით ჰელსინკში, სიბელიუსის აკადემიაში ისწავლის. ნინის სოლო კონცერტის, მის ცხოვრებაში არსებული სიახლისა და მომავალი გეგმების შესახებ ვთხოვე ესაუბრა:

ნინი, წლების წინ წარმდგარხარ ბორჯომელი მაყურებლის წინაშე, თუმცა, ახლა, შემოქმედებითად საოცრად გაზრდილი წარსდექი მშობლიური ქალაქის აუდიტორიის წინაშე. რამდენად საპასუხისმგებლო იყო შენთვის?

– დიახ, ბორჯომში გამოსვლა ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და გამოცდილებაა ჩემთვის. წლების წინაც მქონია აქ გამოსვლის შესაძლებლობა, მაგრამ ამჯერად, ეს გაცილებით განსხვავებული განცდა იყო. მაშინ ჯერ კიდევ მოზარდი ვიყავი, ახლა შემოქმედებითად ბევრად უფრო ჩამოყალიბებული და გამიზნული წარვსდექი მაყურებლის წინაშე. პასუხისმგებლობა მართლაც დიდი იყო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩემი მშობლიური ქალაქის აუდიტორიაა, არამედ მე თავადაც ვგრძნობ, როგორ განვვითარდი ამ წლების განმავლობაში. მსურდა, ჩემი მუსიკით გულწრფელი კავშირი დამემყარებინა თითოეულ მსმენელთან და ღირსეულად წარმომეჩინა ის შრომა და გზა, რომელიც აქამდე გამოვიარე. ეს არ იყო უბრალოდ კონცერტი, ეს იყო შინაგანი დიალოგი, ემოციური დაბრუნება და ერთგვარი მადლობის გადახდაც იმ გარემოსთვის, საიდანაც ყველაფერი დაიწყო.

ვისაუბროთ რეპერტუარზეც...

– ეს რეპერტუარი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან თითოეული ნაწარმოები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჩემს მუსიკალურ ცხოვრებაში. მათში ვპოულობ ემოციურ სიღრმეს, რაც ჩემთვის, როგორც პიანისტისთვის, ძალიან ფასეულია. რეპერტუარი მაძლევს შესაძლებლობას, მთლიანად გამოვხატო ჩემი შინაგანი სამყარო და მსმენელთან გულწრფელი მუსიკალური დიალოგი შევქმნა.

აუცილებლად მინდა გკითხო ახალგაზრდა პიანისტზე, ერეკლე გუნდიშვილზეც, რომელიც შენთან ერთად მონაწილეობდა კონცერტზე.

– **ერეკლე გუნდიშვილი** ნამდვილად გამორჩეული ახალგაზრდა პიანისტია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ პირველკურსელია, მასში იგრძნობა სერიოზული პოტენციალი და პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვა. ჩემთვის დიდი სიამოვნება და პატივია მასთან ერთად შესრულება და მმობლიური აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. .

საღამოს წამყვანი პირველი პედაგოგი, ქალბატონი მარინე რატიანი გახლდათ. როგორი იყო მისი შეფასება კონცერტის ბოლოს?

– ქალბატონი მარინე რატიანი არ არის მხოლოდ ჩემი პირველი პედაგოგი, ის არის ადამიანი, რომელმაც მუსიკის მიმართ სიყვარული ჩამინერგა და საფუძველი ჩაუყარა ჩემს პროფესიულ განვითარებას. კონცერტის დროს ის კულისებში იდგა და ემოციისაგან ცრემლები სდიოდა. ეს მომენტი არასდროს დამავიწყდება. მის თვალებში ვხედავდი ყველაფერს – სიხარულს, სიამაყეს, ემოციას... მან თბილად მითხრა, რომ ძალიან ამაყია ჩემით და, რომ მისთვის დიდი სიხარულია იმის ყურება, თუ როგორ ვვითარდები, როგორც მუსიკოსი. -ეს სიტყვები ჩემთვის არამარტო შეფასება, არამედ სულიერი მხარდაჭერა იყო, რომელიც ყოველთვის მომყვება მისგან.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ახლანდელი პედაგოგიც...

– ჩემს განვითარებაში არანაკლები წვლილი მიუძღვის ჩემს მეორე პედაგოგს – ნინო ქათამაძეს, რომელთანაც ვისწავლე ,,ნიჭიერთა ათწლედში'' და ამჟამინდელ პედაგოგს – ნუცა ჭირაქაძეს. ნუცა ჩემთვის ერთდროულად არის მასწავლებელი, მრჩეველი, მოტივატორი და ადამიანი, ვისთანაც შემიძლია ღრმა მუსიკალურ თემებზე საუბარი. ის მაძლევს პროფესიულ თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს არასდროს მაცდენს იმ მთავარ ხაზს, რაც ხარისხიანი შესრულებისთვის აუცილებელია. ნუცასთან მუშაობამ ჩემს სტილში სიღრმე, რწმენა და გამბედაობა მოიტანა, ის ისეთი თავდაჯერებით აღიქვამს ჩემს შესაძლებლობებს, საბოლოოდ მეც მჯერა, რომ შემიძლია მეტი და მაძლევს რწმენას, რომ სწორ გზაზე ვდგავარ.

შენ ცხოვრებაში საოცარი სიახლეა, ერთი წლის მანძილზე ჰელსინკში ისწავლი. როგორი იყო პირველი ემოციები, როცა ამის შესახებ შეიტყვე?

– როდესაც გავიგე, რომ ერთი წლის განმავლობაში ჰელსინკში, სიბელიუსის აკადემიაში ვისწავლიდი, პირველივე ემოცია შოკი და შემდეგ სიხარულის ცრემლები იყო. ამ განცდას სიტყვებით ზუსტად ვერ აღვწერ, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო ამბავი. სიბელიუსის აკადემია მსოფლიო დონის კონსერვატორიაა, სადაც სწავლა ჩემთვის უდიდესი პატივი, გამოწვევა და განვითარების შანსია. ამასთან ერთად, მსურს შევიძინო საერთაშორისო გამოცდილება და ვიმუშაო პროფესორებთან, რომლებზეც აქამდე მხოლოდ მსმენოდა. ასევე, ვფიქრობ, რომ ეს წელი ჩემს პიროვნულ ზრდასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს – როგორც მუსიკოსის, ისე ადამიანური თვალსაზრისითაც.

ნინი სამომავლო გეგმებიც გაგვიმხილე...

– სიმართლე რომ გითხრათ, წინ ბევრი იდეა და ოცნება მაქვს. სამომავლოდ მსურს, მაქსიმალურად გამოვიყენო გამოცდილება, რომელსაც სიბელიუსის აკადემიაში მივიღებ. ვგეგმავ, აქტიურად ჩავერთო საერთაშორისო მასტერკლასებსა თუ კონკურსებში. ჩემი მიზანია, კიდევ უფრო გავაღრმავო პროფესიული ცოდნა და მომავალში, აუცილებლად მინდა, საქართველოში დავბრუნდე და აქტიურად ჩავერთო მუსიკალურ ცხოვრებაში კონცერტებით, მასტერკლასებითა და ახალგაზრდებთან ურთიერთობით. ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის ის, რომ ჩემს გამოცდილებასა და ენერგიას სხვა მუსიკოსებსაც გავუზიარებ.

მადლობის გარეშე ვერ დავტოვებ და ვისარგებლებ თქვენი გაზეთით, მადლობას გადავუხდი ბორჯომის მუნიციპალიტეტს თანადგომისა და ხელშეწყობისთვის!

უღრმესი მადლობა მუნიციპალიტეტის მერს - ბატონ **ოთარ არბოლიშვილსა** და მერის მოადგილეს - ბატონ **გიორგი ტაბატაძეს** დაინტერესებისთვის, თბილი მიღებისთვის და ყურადღებისთვის! ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორს - ბატონ **გაიოზ დვალიშვილს!** გულთბილი მადლობა მუნიციპალიტეტის პიარს - **ნატა კოპაძესა** და ოპერატორ - **ბექა ჩადუნელს** ულამაზესი ვიდეორგოლისთვის!

ასევე, მადლობას გადავუხდი ბორჯომის მუნიციპალიტეტს სტუდენტთა წახალისების პროგრამის ფარგლებში, საბაკალავრო პროგრამების წარჩინებულ სტუდენტებს ფულადი ჯილდოთი სარგებლობის უფლებას რომ გვაძლევს! ვამაყობთ ჩვენი რაიონით ყველგან, მსგავსი საჭირო პროექტები ხომ მეტ მოტივაციას აძლევს ბავშვს!

მადლობა საინტერესო საუბრისათვის. უდიდეს წარმატებას გისურვებ.

იცის, რომ წინ დიდი კონკურენცია ელოდება

,,ნებისმიერ მოსწავლეზე დაუსრულებლად შემიძლია გესაუბროთ დიდი სიყვარულით, თუმცა დღეს ისეთ მოსწავლეზე უნდა გიამბოთ, რომელიც გასაოცარია თავისი აზროვნებით, ნიჭით, შრომისმოყვარეობით, საქმისადმი დიდი სიყვარულით, პასუხისმგებლობითა და დიდზე დიდი თბილი გულით. ეს VIII ბ კლასის მოსწავლე მიკელა კაპანაძეა.

ეს ის გოგონაა, რომელზეც ადრე მქონდა საუბარი, 2 წელი გერმანიაში რომ სწავლობდა და უთბილეს ბარათებს მიგზავნიდა, თითქოს მის ნინო მასწავლებელზე უკეთესი მათემატიკის მასწავლებელი არ არსებობდა(რა თქმა უნდა ეს ასე არ არის, მაგრამ მე მაინც მიხარდა). 2024-2025 სასწავლო წელს თეკლამ ისევ ბორჯომის N1 საჯარო სკოლაში გააგრძელა სწავლა. სულ რამდენიმე დღის წინ გოგონა მოვიდა და მოსაწვევი ბარათი გამომიწოდა. ნინო მას, სოლო კონცერტი მაქვს და გთხოვთ მობრძანდეთო. უსაზღვროდ გამეხარდა, და ერთი სული მქონდა კონცერტს დავსწრებოდი. იცით ალბათ რამდენი საქმე აქვთ პედაგოგებს წლის ბოლოს და მეც აუარება საქმე მქონდა, ამიტომ შემთხვევით რომ არ დამავიწყებოდა მისი მოსაწვევი ისე დავდე, მუდამ თვალთახედვის არეში მქონებოდა. ეს დღეც დადგა და ხაშურის მუსიკალურ სკოლაში, თეკლას კონცერტზე დასასწრებად სხვებთან ერთად მეც გავემგზავრე.

ეს საღამო ხელოვნებისა და სიყვარულის უდიდესი გამოხატულება იყო. ვტკბებოდი თეკლას დაკვრის მოსმენით და მისადმი სითბო და სიყვარული მიასმაგდებოდა. ეს იყო ქართველი ასული, რომელშიც უფლისგან შერწყმული იყო ყველა სიკეთე ერთად და რა ბედნიერია ბორჯომი და სრულიად საქართველო ასეთი საუკეთესო გოგონები და ვაჟები რომ გვეზრდება. მადლობა უფალს! ვგრძნობდი რომ ეს იყო ქართული გენის გაცისკროვნება. მე ვერ ჩამოვთვლი იმ დიპლომებს, სიგელებს, პრემიებს თუ მედლებს რაც თეკლას, ამ პატარა გოგოს აქვს მიღებული, მაგრამ ბოლო სიურპრიზს კი გავამხელ. თეკლა წელს ჩაირიცხა ნიჭიერთა ათწლედში(აბა უარს ვინ ეტყოდა). წარმატება და უამრავი სიხარული თეკლას.

საღამო ოვაციების ფონზე დამთავრდა და მინდა ყველას მოგილოცოთ ეს დღე რომ შედგა.

საქართველო აუცილებლად გადალახავს ამ სირთულეს და გაბრწყინდება, რადგან აქ ასეთი მომავალი მოდის!!!''

აღნიშნული პოსტი ბორჯომის N 1 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგმა, ქალბატონმა ნინო გოგოლაძემ, თავისი მოსწავლის, თეკლა კაპანაძის სოლო კონცერტის შემდეგ ატვირთა სოციალურ ქსელში პირად გვერდზე. პოსტმა გულგრილი არავინ დატოვა. მათ შორის მეც. ამიტომაც, გადავწყვიტე, რომ პოსტის ადრესატი, მომავალი ნარმატებული მევიოლინე თეკლა კაპანაძე რუბრიკაში ,,ნიჭიერი თაობა'' გაგაცნოთ. თეკლა კაპანაძე ჯერ კიდევ ხუთი წლის იყო, როდესაც დედამ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სკოლაში შეიყვანა სავიოლინო ჯგუფში, პედაგოგ **თეა მანჩხაშვილთან**. 9 წლიდან კი მან ხაშურის სამუსიკო სკოლაში, პედაგოგ **ფატი სადაღაშვილის** კლასში გააგრძელა სწავლა. თეკლას საყვარელი საქმიანობის გარშემოა ჩართული მთელი მისი სანათესაო. თითოეული მათგანი, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობს, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს ნიჭიერი თეკლას მუსიკალურ განვითარებაში, რადგან სწამთ, რომ ის, რაც მას უყვარს, გამოსდის კიდეც, აუცილებლად მოუტანს წარმატებას.

თეკლა, 2019 წლიდან აქტიურად ჩაერთო ეროვნულ მუსიკალურ კონკურსებსა და ფესტივალებში.

2019 წელს კლასიკური მუსიკის ეროვნულ კონკურსში მოიპოვა II ადგილი;

2019 წელს მონაწილეობდა კლასიკური მუსიკის ფესტივალში ,,რეგიონის ვარსკვლავები''.

2019 — 2020 წლებში მიღებული აქვს ლაურეატის წოდება სხვადასხვა ,,კლასიკური მუსიკის ეროვნულ კონკურსზე''.

2020 წელს, ისრაელის კონკურსში ,,ჩრდილოეთის ნათება'', I ადგილი დაისაკუთრა;

2021 წელს მონაწილეობდა ფესტივალში ,,ფესტივალიდან ფესტივალამდე''. ამავე წელს მონაწილეობდა ლონდონის საერთაშორისო კონკურსში ,,ოქროს დრო'' სადაც ხვდა წილად პირველი და მეორე ადგილები;

,,საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა X ეროვნულ კონკურსში'' 2021 წელს დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით;

არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე კონკურსიდან ან ფესტივალიდან თეკლა დაბრუნებულიყოს დიპლომის გარეშე; 2022 წლის ზაფხულში, თეკლა იმყოფებოდა ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში არსებულ მუსიკალურ სკოლა-ბანაკში, სადაც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასულ მოსწავლეებს მასპინძლობდნენ. ბანაკში სწავლების მიზანი იყო, მოსწავლეები დაუფლებოდნენ ორკესტრში დაკვრის ხელოვნებას და შეეძინათ ორკესტრში თავისუფლად ორიენტაციის უნარი. სკოლა - ბანაკში ინტენსიური მეთოდით მიმდინარეობდა მოსწავლეების ორკესტრულ გარემოში მეცადინეობა, სადაც თეკლამ 22 სასწავლო საათი დაჰყო და დირიჟორ ევა პანელის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა III საორკესტრო დასში. აღნიშნულმა ბანაკმა საშემსრულებლო კუთხით საკმაო გამოცდილება შესძინა. თეკლამ გერმანიაში, ,,ერლაგენის'' ფესტივალში მონაწილეობისთვის'' მიიღო საპატიო დიპლომი.

მას ჰქონდა შესაძლებლობა, ორკესტრის თანხლებით დაეკრა: ქალაქ ბათუმში გამართულ ფესტივალზე ,,მომავლის ვარსკვლავები'' (**დავით მუქერიას** დირიჟორობით); ქალაქ ხაშურში, ქალბატონი ფატის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, (**რევაზ ჯავახიშვილის** დირიჟორობით); ქალაქ ბორჯომში გამართულ კონკურს-ფესტივალზე ,,ჰარმონია'' (**დავით მუქერიას** დირიჟორობით); 2023 წელს, ოქტომბერში, ,,ბავარიის 46-ე მუსიკალური სკოლის დღეზე, ქალაქ ერლაგენში შეასრულა კომპოზიცია ,,ფუტკარი'', ხოლო თეკლას ეს შესრულება გერმანულ რადიო BR — Klassik-ის ეთერში გაჟღერდა რადიოს მსმენელთათვისაც.

2023 წელს გერმანიის ქალაქ ჰოფში გამართულ ადგილობრივი კორპორაციების საღამოზე, თეკლამ შეასრულა 3 ნაწარმოები, რითიც მსმენელის დიდი მოწონება და ადგილობრივი მთავრობის მიერ დაწესებული პრემია დაიმსახურა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ნაწარმოები, რომელსაც თეკლა ასრულებდა გერმანიაში სხვადასხვა ღონისძიებაზე, ნასწავლი და დამუშავებული იყო პედაგოგ ფატი სადაღაშვილის მიერ, სწორედ მისი შრომის დამსახურებაა გერმანელი მსმენელის წინაშე თეკლას ასეთი წარმატებული გამოსვლები.

თეკლა ორი წლის განმავლობაში ოჯახთან ერთად გერმანიაში გადავიდა საცხოვრობლად. გერმანიაში ყოფნის პერიოდში თეკლას ყავდა პედაგოგი, რადოსლავა ბონევა რომელიც ამზადებდა, ასწავლიდა და აძლევდა შესაძლებლობას ადგილობრივი, გერმანული ღონისძიებების მონაწილე ყოფილიყო. ქალბატონი რადოსლავა დღესაც თვალყურს ადევნებს თეკლას განათლების პროცესს. 2024 წელს, თეკლა ისევ უბრუნდება საქართველოს და ხაშურის სამუსიკო სკოლას.2024 — 2025 წლები, საკმაოდ დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა თეკლასთვის. 2024 წელს, ვალერიან შიუკაშვილის სახელობის ტრადიციულ მუსიკალურ ფესტივალში მოიპოვა II ადგილი. ამავე წელს ფესტივალზე ,,რონდი კლასიკი'', დაჯილდოვდა დიპლომით. 2024 წელს მონაწილეობდა ქალაქ ბათუმში გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე ,,მომავლის ვარსკვლავები''. სულ ახლახანს ,,საქართველოს კულტურის სამინისტროს'' მიერ დაფუძნებულ ,,რეგიონალურ კონკურსზე'' თეკლამ მიიღო უმაღლესი შეფასება, დაჯილდოვდა უმაღლესი ხარისხის დიპლომით და ფულადი პრემიით.

13 ივნისს ხაშურის სამუსიკო სკოლამ თეკლას სოლო კონცერტს უმასპინძლა. კონცერტი ექვსნლედის დასრულების აღსანიშნავად გაიმართა. საღამოს ორგანიზატორი თეკლას პედაგოგი, ქალბატონი **ფატი სადაღაშვილი** გახლდათ. საღამოს წამყვანი თეკლას დეიდა, ქალბატონი **ნატო კურტანიძე** გახლდათ. სოლო კონცერტზე გაჟღერდა **მაქს ბრუხის, ვაჟა აზარაშვილის, იოჰან სებასტიან ბახის, პეტრე ჩაიკოვსკი**ს და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები. თეკლას მხატვრული აკომპანირება გაუწია **ბარბარე ოსტინაშვილმა** და შესრულდა ,,ავე მარია''. ხოლო მთლიანად კონცერტის აკომპანიორი გახლდათ ქალბატონი **თეა ტატიშვილი.** კონცერტმა თავი მოუყარა ყველა იმ ნაწარმოებს, რომელსაც თეკლა სწავლობდა წლების მანძილზე და ასრულებდა სხვადასხვა კონკურს-ფესტივალზე როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კონცერტზე თეკლას გულშემატკივრები მისი ოჯახის წევრები, მეგობრები და პედაგოგები გახლდნენ(**თამრიკო კუჭაძე, მარიზა ჯიქია, ნინო გოგოლაძე**). თეკლას მსოფლიო დონის მევიოლონეებს შორის გასაკუთრებულად უყვარს:იტჟაკ პერლმანი, ჰილარი ჰანსი და დევი გარეტი.

აღსანიშნავია, რომ თეკლა 2025 ახალ სასწავლო წელს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედში გააგრძელებს სწავლას, პედაგოგ ირინა იაშვილის კლასში.

როგორც თეკლამ ჩემთან საუბარში აღნიშნა, ათწლედში სწავლა მისთვის დიდი გამოწვევაა, იცის რომ დიდი კონკურენცია ელოდება ნინ, თუმცა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე იყოს.

გაზეთი „ბორჯომის'' რედაქციის სახელით ვულოცავთ თეკლას მიღწეულ წარმატებას და ვუსურვებთ, შემდგომ წინასწავლას, ქვეყნის გარეთ, მსოფლიო მნიშვნელობის დიდ სცენებზე. ნამდვილად საამაყოა, როდესაც ბორჯომს ასეთი ნიჭიერი თაობა ეზრდება.

გვერდი მოამზადა ნაზო მელიქიძემ.

გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი

20 ივნისს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მერმისის" საქველმოქმედო კონცერტს უმასპინძლა. გასული წლის 13 მაისს ანსამბლმა საქველმოქმედო კონცერტი ბერი ანდრიას ფონდისთვის, „ ერთად სიცოცხლისათვის'' გამართა. ,,მერმისმა'' ერთგვარ ტრადიციად აქცია ყოველწლიურად ერთი დღე სიკეთისათვის და აღნიშნული საღამოც ისევ ბერი ანდრიას ფონდის ბენეფიციარებს მიეძღვნათ.

ღონისძიების წამყვანი, ანსამბლ „მერმისის'' ყოფილი მოცეკვავე, **დავით არბოლიშვილი** გახლდათ. საღამოს ესწრებოდნენ ბორჯომის ილია თეზბიტელის სახელობის ტაძრის წინამძღვარი,

დეკანოზი **მამა იოანე** (ხეცურიანი), ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **გიორგი ტაბატაძე**, ასევე, კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **შალვა გოგოლაძე**, მოცეკვავეთა გულშემატკივრები და ბორჯომელი მაყურებელი.

ღონისძიების დაწყებამდე სცენაზე სიტყვით წარსდგა მამა იოანე, რომელმაც დალოცა დამსწრე საზოგადოება, მოცეკვავეები და მათი ხელმძღვანელები. მან აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მადლია სიკეთის კეთება მათთვის, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს. სცენაზე საზოგადოებას მიესალმა ბატონი **გიორგი ტაბატაძეც** და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზადაა მსგავსი ტიპის საღმოებს მხარი დაუჭიროს.

კონცერტი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. მოცეკვავეებმა პირველ განყოფილებაში წარმოადგინეს – ხორუმი, აჭარული, სამაია, დავლური, ყაზბეგური, ხონგა, ქალთა აჭარული; მეორე კურსი წარსდგა სამი ცეკვით, ხოლო პირველი განყოფილება დასრულდა მთიულურით. თხუთმეტწუთიანი შესვენების შემდგომ მეორე განყოფილება გახსნა ცეკვა „ზღაპარმა", ერთმანეთს ენაცვლებოდა ,,ხევსურულის", „კახურის", „ყაზბეგურის" საცეკვაო ნომრები. საოცარი ენერგია მოდიოდა თითოეული ნომრის შესრულებისას. აღნიშნული დღე, პირველი ნაბიჯები გახლდათ ანსამბლის მეორე კურსის მოცეკვავეებისათვის, რადგანაც მათ პირველად წარადგინეს ორი წლის მანძილზე გაწეული დაუღალავი შრომის შედეგი.

ანსამბლმა შეძლო და გვამოგზაურა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. „ნანილა", „სვანური" და „თუშური" გენიალურმა „აფხაზურმა" დაასრულა. მნიშვნელოვანია, რომ კონცერტზე მონაწილეობას იღებდა ანსამბლის ყველა მოცეკვავე –160 მოსწავლე, რომელთა შორისაც იყვნენ ანსამბლ„მერიმის" „ტაძრისის" ფილიალის, მეორე კურსის, საკონცერტო და ანსამბლის ჯგუფის მოსწავლეები. მოცეკვავეებმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს საზოგადოებას, რომ იმ დიდ საქმეს, რასაც მთელი სულითა და გულით აკეთებენ, ქართული ცეკვის უკვდავი სახელი ჰქვია . .

კონცერტის დასასრულს სცენაზე მოცეკვავეებთან ერთად წარსდგნენ ანსამბლის ხელმძღვანელი, ქალბატონი **ნინო ყეინიშვილი** და ქორეოგრაფი, **სალომე მაზმიშვილი**. ქალბატონმა ნინომ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მშობლებს და საკუთარ მოცეკვავეებს გაწეული შრომისთვის.

დარწმუნებით შემიძლიათ გითხრათ, რომ ბორჯომელ მაყურებელს დიდხანს გაჰყვება „მერმისის'' კონცერტიდან მიღებული ემოციები. წარმატებები გვინდა ვუსურვოთ ანსამბლ „მერმისს'', როგორც ბორჯომის სცენაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მრავალჯერ ესახელებინოთ ჩვენი ბორჯომისა და ქვეყნის სახელი.

ნატო მელიქიძე

ინტელექტუალური თამაშები

გამოვლინდა გამარჯვებული

ბორჯომის საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაშის – „რა? სად? როდის?" გაზაფხულ-ზაფხულის სეზონი დასრულდა.

ბაკურიანის საჯარო სკოლის გუნდი ,,ალციდები" ზედიზედ მეორედ გახდა თამაშების გამარჯვებული. სეზონის საუკეთესო მოაზროვნის ტიტული კი ამავე გუნდის წევრმა **გიორგი მაისურაძემ** მოიპოვა. მას აღნიშნული ტიტულის მოპოვებისათვის ,,მოაზროვნე" გარდამავალი ბუ გადაეცა.

გამარჯვებული გუნდი გარდამავალი ბუს ქანდაკებით, სიგელებითა და წიგნებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს.

გამარჯვებული გუნდის მოთამაშეებს დეპუტატმა **დავით შონიამ** 200-ლარიანი ვაუჩერი გადასცა, ხოლო საუკეთესო მოაზროვნეს მაღაზია „ბარდასის" (**მფლობელი ბარდაძე**) 100-ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერიც გადაეცა საჩუქრად.

მეორე და მესამე ადგილი N3 საჯარო სკოლის გუნდმა **„MVP"** და წაღვერის საჯარო სკოლის გუნდმა ,,ნიკეა"-მ გაინაწილეს.

საპატიო სიგელები გადაეცა ფინალში მონაწილე ყველა გუნდის წევრს.

მიმდინარე სეზონზე 54 გუნდი და 340-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ფინალში ბროლის ბუს მოპოვებისათვის კი 19 გუნდი იბრძოდა.

ინტელექტუალური თამაშის ორგანიზატორია ბორჯომის მუნიციპალიტეტი, საბიბლიოთეკო გაერთიანება და ბორჯომის ინტელექტუალური კლუბი.

ინტელექტუალური თამაშების უცვლელი წამყვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ბორჯომის ინტელექტუალური კლუბის ხელმძღვანელია – **გიორგი ფერაძე**.

ინტელექტუალურ თამაშებს მთელი სეზონის განმავლობაში ტრადიციულად N3 საჯარო სკოლამ უმასპინძლა.

ტრისტან სარალიძის დაბადებიდან 70 წელი შესრულდა

მსახიობი, როლის დავიწყებაც შეუძლებელია

მიმდინარე წლის 5 ივნისს, თბილისში, საქართველოს კინოაკადემიის დიდ დარბაზში გაიმართა ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობის, **ტრისტან სარალიძის** 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო, რომელსაც უძღვებოდა ყველასათვის საყვარელი მსახიობი, თეატრმცოდნე და ტელეწამყვანი ბატონი **ნიკოლოზ წულუკიძე**.

საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ,,თეატრალურის კვარტეტი".

შეხვედრაზე იყო ბევრი სევდანარევი იუმორი, ვინც კი ერთხელ მაინც შეხვედრია ტრისტან სარალიძეს, დაგვეთანხმება, რომ მას გააჩნდა უდიდესი პოტენციალი, ადამიანი, რაც არ უნდა ცუდ გუნებაზე ყოფილიყო, თავისი ჩვეული ,,გენიალური" იუმორით კარგ ხასიათზე დააყენებდა.

საღამოს ესსრებოდნენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: დავით კვირცხალია, ლევან ბერიკაშვილი, მალხაზ ქვრივიძვილი, გოგა ბარბაქაძე, ქალბატონი ნანული სარაჯიშვილი, რომლებმაც სევდანარევი იუმორით გაიხსენეს ტრისტან სარალიძესთან ერთად გატარებული დღეები და აღნიშნეს ის ფაქტი, რომ მსახიობი თეატრის სცენაზე შეიძლება იყოს კარგი, მაგრამ კინოში დიდ პოპულარობას ვერ მიაღწიოს, ან პირიქით, მაგრამ ტრისტანი გამორჩეული იყო, როგორც თეატრის სცენაზე, ისე ტელეეკრანზე.

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობმა, ბატონმა გოგა ბარბაქაძემ გაიხსენა ტრისტანთან დაკავშირებული ისტორია.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა ქართველი მსახიობი, სცენარისტი, რეჟისორი, პროდიუსერი, ბატონი ზაზა კოლელიშვილი, რომელმაც გაიხსენა თავისი საყვარელი მეგობარი. აღნიშნა ის ფაქტი, რომ ის და ტრისტანი იყვნენ ფიც-ვერცხლი ნაჭამი ძმაკაცები.

ბატონმა ნიკოლოზ წულუკიძემ გაიხსენა რესპოდენტები, რომლებიც მის გადაცემაში სტუმრად იყვნენ მიწვეულები და აღნიშნა, რომ ტრისტანს შესანიშნავი შეგრძნება ჰქონდა, რასაც ტელევიზიის რიტმი ეწოდება.

საღამოზე ნაჩვენები იქნა ფირი, ამერიკიდან გამოგზავნილი, სადაც ბატონი რევაზ ჩხიკვიშვილის ინტერვიუა ჩაწერილი. ჩანს ბატონ რევაზ ჩხიკვიშვილსა და ტრისტან სარალიძის სტუდენტობის მეგობრობა.

ასევე, საღამოზე ისაუბრა ქართველმა კინომცოდნემ ქალბატონმა ქეთევან ტრაპაიძემ, რომელმაც აღნიშნა, ქართული კინო თავისი კონტრასტებითა და სახეთა მრავალფეროვნებით მსოფლიოს არც ერთ ქვეყნის კინემატოგრაფიაზე ნაკლები არაა, ვერ წაანყდებით კონტრასტული ხასიათის ნიშნებს და ბუნებრიობის ისეთ გასაოცარ გამოხატულებებს, როგორიც ქართულ კინოს მოსდგამს, რასაც გენიალურად ასრულებდა ბატონი ტრისტან სარალიძე.

საღამოზე ძალიან მნიშვნელოვანი და წამახალისებელი იდეა ჩამოყალიბდა ახალგაზრდა კინომსახიობების წასახალისებლად. 5 ივნისიდან, ერთი წლის განმავლობაში დანესდა **ტრისტან სარალიძის სახელობის სტიპენდია.** თეატრისა და კინოს ორ გამორჩეულ სტუდენტს – კახაბერ მირზაშვილს და მარიამ ნარიმანიშვილს დაენიშნებათ ეს სტიპენდიები.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ტრისტან სარალიძის პარტნიორი სატელევიზიო გადაცემა ,,სიცილის ზონა"-ში, ბატონი ბესო ბარათაშვილი, რომელმაც ცრემლნარევი იუმორით გაიხსენა თავისი პარტნიორი და აღნიშნა, რომ დიდი ხანია ერთად მოღვაწეობდნენ ის და ტრისტანი, მაგრამ ამ ადამიანთან გატარებულ დღეების მცირე ხანიც კი საკმარისი იყო, რომელიც დიდ სიხარულს ანიჭებდა და ენთუზიაზმით ავსებდა ადამიანს.

საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნა ელდარ შენგელაიას მოკლემეტრაჟიანი ფილმი ,,ჩიტები", რომელიც რეჟისორმა თავის ძმას, გიორგი შენგელაიას ხსოვნას უძღვნა, სადაც მთავარ როლს ასრულებს ტრისტან სარალიძე. ეს როლი, სამწუხაროდ, მსახიობისთვის ბოლო როლი აღმოჩნდა.

2010 წელს ტრისტან სარალიძეს მიენიჭა მისთვის ყველაზე სანუკვარი ჯილდო, რასაც მშობლიური ქალაქის ,,ბორჯომის საპატიო მოქალაქის" წოდება ჰქვია.

ბატონ ტრისტან სარალიძის ხსოვნა დაუვიწყარია, არამარტო ქართული თეატრისა და კინოში შესრულებულ როლებში, არამედ მშობლიური ახალდაბისა და ბორჯომელი საზოგადოებისათვის. ის რჩება ჩვენი ხეობის ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობად და ღირსეულ პიროვნებად. მას ხშირად გაიხსენებს ჩვენი შთამომავლობა.

აკაკი სარალიძე,

სიყვარულო ძალსა შენსა

ცამდე სიყვარულის ამბავი!

გიორგი ლომაძისა და **ნენე ქაჯაიას** **სიყვარულის ამბავი წაღვერის კულტურის სახლის სცენიდან დაიწყო და ოჯახის შექმნით დასრულდა. მათ ოჯახს დღეს პატარა თაია ალამაზებს და სრულფასოვანს ხდის. წყვილი დღეს ისევ აქტიურად აგრძელებს სცენაზე მუშაობას და ხშირად შვილიც მათთან ერთად იმყოფება.**

ხელოვანი წყვილი, როდესაც მათი სიყვარულის ამბავს მიყვებოდნენ, ყოველი სიტყვა, გამოხედვა, ღიმილი, იმ დიდ გრძნობაზე მიუთითებდა, რომელიც მათ აკავშირებთ.

ცამდე სიყვარულის ამბავს ჰგავს გიორგისა და ნენეს ოჯახური თანაცხოვრება. უსიტყვოდ, გამოხედვით რომ ესმით ერთმანეთის, ერთმანეთის ჩუმ სურვილებსაც რომ მოეფერებიან და უხმოდ ეტყვიან – მე აქ ვარ, შენს გვერდით.

8 წელია, რაც თეატრ-სტუდია ,,ვოდევილი" მაყურებლისგან მქუხარე აპლოდისმენტებს იმსახურებს.

გიორგი: – 3-4 წლის წინ, ჩემი თხოვნით თეატრში გვესტუმრა ნენე, ვიცოდი, რომ ძალიან ნიჭიერი იყო. პირადი მიზნები მაშინ არ მქონდა, სუფთა თეატრალური თვალსაზრისით. შემდეგ, თანდათან, საქმიდან სხვა ურთიერთობაში გადაიზარდა და ახლა პატარა გოგონა გვყავს 3 თვის თაია.

ნენე: – როგორც კი მოვედი თეატრში, ვიგრძენი, რომ სხვანაირი, თბილი პიროვნება იყო. მიმაჩნდა, რომ ახლობლები, კარგი მეგობრები ვიყავით, შემდეგ ვიგრძენით, რომ ამ ურთიერთობამ მეგობრობასაც გადააჭარბა.

გიორგი: – საქმესთან დაკავშირებით არასდროს გვიქმნის დაბრკოლებას ჩვენი ურთიერთობა, სანამ ჩვენს ოჯახურ ამბავს გადავწყვეტდით, თეატრში შიდა წესები საჭიროდ გვქონდა დაცული, მათ შორის დისტანცია. ჩემთვის ნენე სცენაზე მსახიობია და სახლში არის მეუღლე. სხვანაირად ვერ გამოვა.

ნენე: – აქ, ამ სცენაზე გიორგი რეჟისორია და მე – მსახიობი, ხოლო სახლში ცოლ-ქმარი, თაიას დედიკო და მამიკო.

გასულ კვირას თაიამ სცენის მტვერი უკვე შეიგრძნო, იგი მშობლების ყველაზე პატარა გულშემატკივარი გახლდათ.

დედიკომ, ლექსების წერის შემდეგ, რეჟისორ მეუღლესთან ერთად ახლა პიესების წერა დაიწყო და ერთობლივი ძალებით დაწერეს ,,დაუჯერებელი ამბავი", ბრძენი სიყვარულს სახელით.

წარმატებებს ვუსურვებ გიორგისა და ნენეს როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე ოჯახური თანაცხოვრების გზაზე. ცამდე სიყვარულის ამბავი უსასრულოდ გაგრძელებულიყოს.

იზა იანვარაშვილი

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს
მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომაძე